

შპს „ტელეკომპანია პირველი“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება და მოგება- ზარალის ანგარიშგება	6
კაპიტალის მოძრაობა	8
ფულადი სახსრების მოძრაობა	9
განმარტებითი შენიშვნები	10

ფინანსური მდგომარეობა (ბალანსი)

ლარში

	31.12.2019	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	83601	22725	2057
შეზღუდული ფული და ფულის ეკვივალენტები	0.00	0.00	0.00
მოთხოვნები ბანკების მიმართ	0.00	0.00	0.00
სავაჭრო ფასიანი ქაღალდები	0.00	0.00	0.00
წარმოებული ფინანსური აქტივები	0.00	0.00	0.00
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები მოგებაში ან ზარალში ასახვით	0.00	0.00	0.00
გადახდილი ავანსები	28459	0.00	0.00
გაცემული სესხები	0.00	0.00	0.00
სესხების გაუფასურების ანარიცხი	0.00	0.00	0.00
მიმდინარე მარაგები	5588	16463	11463
გრძელვადიანი მარაგები	0.00	0.00	0.00
სავაჭრო მოთხოვნები	1190204	497821	484545
რეალიზებადი წილობრივი მონაწილეობის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	0.00	0.00	0.00
რეალიზებადი სავალო ფასიანი ქაღალდები	0.00	0.00	0.00
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	0.00	0.00	0.00
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	0.00	0.00	0.00
საინვესტიციო ქონება	0.00	0.00	0.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებსი	0.00	0.00	0.00
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	0.00	0.00	0.00
წინასწარ გადახდილი მიმდინარე მოგების გადასახადი	0.00	0.00	0.00

გადავადებული პგეზოს გადასახადის აქტივი	0.00	0.00	0.00
სხვა საგადასახადო აქტივი	0.00	0.00	0.00
ბიოლოგიური აქტივები	0.00	0.00	0.00
სხვა მიმდინარე აქტივები	0.00	0.00	0.00
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0.00	0.00	0.00
გუდვილი	0.00	0.00	0.00
სხვა არამატერიალური აქტივები	35717	35717	35717
ძირითადი საშუალებები	1881836	977195	696994
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები	0.00	0.00	0.00
სულ აქტივები	3225405	1549921	1230776
ვალდებულებები			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგებაში ან ზარალში ასახვით	0.00	0.00	0.00
გამოშვებული სავალო ფასიანი ქარალდები	0.00	0.00	0.00
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0.00	0.00	0.00
სავაჭრო ვალდებულებები	2154110	844684	823640
სხვა ფინანსური ვალდებულებები	1732	0.00	0.00
საგადასახადო ვალდებულებები	563672	58061	53778
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	0.00	0.00	0.00
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0.00	0.00	0.00
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0.00	0.00	0.00
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	60000	60000	60000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	230651	0.00	0.00
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	0.00	45000	0.00
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0.00	0.00	0.00

შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯლოები	0.00	0.00	0.00
მომხმარებელთა ლოიალურობის პროგრამები	0.00	0.00	0.00
მიღებული გრანტები	0.00	0.00	0.00
სუბორდინირებული სესხი	0.00	0.00	0.00
გასაყიდად გამიზნულ შეწყვეტილ ოპერაციებთან პირდაპირ დაკავშირებული ვალდებულებები	0.00	0.00	0.00
სულ ვალდებულებები	3010165	1007745	937418
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში „კაპიტალი“, კოოპერატივის შემთხვევაში „საპაიო კაპიტალი“)	0	0	734200
დამატებით შეტანილი კაპიტალი (მხოლოდ სს- სთვის)	142201	0.00	0.00
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0.00	0.00	0.00
წილობრივი გადახდის რეზერვი	0.00	0.00	0.00
რეალიზებადი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	0.00	0.00	0.00
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	0.00	0.00	0.00
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	73039	542176	-440842
სხვა რეზერვები	0.00	0.00	0.00
სულ საკუთარი კაპიტალი	215240	542176	293358
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3225405	1549921	1230776

საქმიანობის შედეგები
(მოგება-ზარალი) ლარში

	31.12.2019	31.12.2018
ნეტო ამონაგები:	4237225	3336768
მომსახურების გაწევიდან	4237225	3336768
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება:	10875	5000
საწყისი მარაგები	16463	-11463
გამოყენებული ნედლეული და მასალები	0.00	0.00
საბოლოო მარაგები	5588	16463
<u>საერთო მოგება</u>	<u>4226350</u>	<u>3341768</u>
სხვა შემოსავალი	341602	186503
დაქირავებულთა ანაზღაურება	-2506738	-905232
სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	0.00	0.00
აუდიტორის ანაზღაურების ხარჯი	0.00	0.00
საკონსულტაციო ხარჯი	0.00	0.00
მმართველი კომპანიის მომსახურების ხარჯი	0.00	0.00
სარეიტინგო მომსახურების ხარჯი	0.00	0.00
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	0.00	0.00
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები	0.00	0.00
კომუნალური და საკუმუნიკაციო ხარჯები	0.00	0.00
საპროცენტო ხარჯი	-26797	-7743
იჯარის ხარჯი	-46374	-31521
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი	0.00	0.00
ცვეთა და ამორტიზაცია	-163351	-115504
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2190332	-1485252
<u>სულ საოპერაციო ხარჯები</u>	<u>-4591990</u>	<u>-2358749</u>
<i>საოპერაციო მოგება</i>	<i>-365640</i>	<i>983019</i>
გაუფასურების(ხარჯი)/რევერსირება:	0.00	0.00
გაცემულ სესხებზე	0.00	0.00

წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვაჭრობიდან და გადაფასებიდან	0.00	0.00
სხვა ფინანსური შემოსავალი	0.00	0.00
სხვა ფინანსური ხარჯი	0.00	0.00
მოგება/(ზარალი) სესხის ვადამდელი დაფარვიდან	0.00	0.00
მიღებული დივიდენდები	0.00	0.00
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	-36653	0.00
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-402293	983019
მოგების გადასახადი	0.00	0.00
მოგება/(ზარალი)	-402293	983019
შეწყვეტილი ოპერაციები	0	0
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი):	-402293	983019
შემდგომი რეკლასიფიცირებული იქნება მოგებაში ან ზარალში როდესაც შესრულდება გარკვეული პირობები(დაბეგვრის შედეგების გამოკლებით/ გათვალისწინებით):		
რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასებიდან	0.00	0.00
გაყიდული რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადასების რეზერვის რეკლასიფიცირება მოგებაში ან ზარალში	0.00	0.00
ფულადი ნაკადების ჰეჯირების წმინდა ეფექტი	0.00	0.00
ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების:	0.00	0.00
წილი რეალიზებადი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვში	0.00	
უცხოური ქვედანაყოფების ფინანსური ინფორმაციის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშების წილი	0.00	0.00

კაპიტალის მოძრაობის უწყისი

	საწესდებო კაპიტალი	ძირითადი საშუალებების გადაფარვის რეზერვი	გაუნაწილებ ელ/მოგება/ ზარალი	სხვა რეზერვე ბი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	734200,23	0.00	-440842,13		293358.1
კაპიტალის ცვლილება	-734200	0.00	0.00		-734200
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი	0.00	0.00	0.00		0.00
გაცემული/მიღებული დივიდენდი	0.00	0.00	0.00		0.00
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0.00	0.00	0.00		0.00
სხვა სრული შემოსავალი	0.00	0.00	983018,84		983018,84
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრისათვის	0,23	0.00	542176,71		542176.94
2017 წ.გახსნითი კორექტირების საფუძველზე კაპიტალის კორექტირება	0.00	0.00	-4925		-4925
კაპიტალის ცვლილება	142200.6	0.00	0.00		142200.6
გაცემული/მიღებული დივიდენდი	0.00	0.00	-61919.51		-61919.51
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0.00	0.00	0.00		0.00
სხვა სრული შემოსავალი	0.00	0.00	-402292.54		-402292.54
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრისათვის	142200.83	0.00	73039.66		215240.49

ფულადი სახსრების მოძრაობა

	31.12.2019	31.12.2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-76032	737559
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	142201	-713,260
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	0.00	0.00
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	66169	24,299
სავალუტო კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	-5293	-3631
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	22725	2057
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	83601	22725

განმარტებითი შენიშვნები

1. ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

შპს “ტელეკომპანია პირველი” შექმნილია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად 2014 წლის 13 მარტს სახელწოდებით შპს ტვს (შემდგომში, შპს ტელეკომპანია პირველი). რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. იგი წარმოადგენს 100%-ით კერძო საკუთრებას. მისი საიდენტიფიკაციო კოდია 405034190. იურიდიული და ფაქტიური მისამართია: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზოვრეთისა და მაგლობლიშვილის ქუჩების კვეთა. კომპანიის დირექტორი 2019 წლის 16 ოქტომბრამდე იყო ბ-ნი პაატა კაკაურიძე, 2019 წლის 16 ოქტომბრიდან კომპანიის დირექტორი გახდა ქნ-ი ინგა გრიგოლია.

შპს “ტელეკომპანია პირველის” ძირითად საქმიანობას განეკუთვნება ტელესაინფორმაციო მაუწყებლობის განხორციელება. იგი პირველად ეთერში 2015 წლის 2 მარტს გავიდა როგორც სპორტული არხი TVS, თუმცა არხმა მალევე საერთო მაუწყებლის ლიცენზია მოიპოვა და სრულიად განაახლა თავისი სატელევიზიო ბადე.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულ იქნა ისტორიული ღირებულების კონცეფციის გამოყენებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში. უცხოური ვალუტაში ნომინირებული ოპერაციები გადაანგარიშებულია ეროვნულ ვალუტაში ოპერაციების მოხდენის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის გამოყენებით.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის შედეგებს, კომპანიის ახლანდელ მიზნებს და მომავლის შესახებ თავის მოლოდინებს:

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია

დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნის ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზები ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა და განიცდის ცვლილებებს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. კომპანია ცდილობს სრულ მზადყოფნაში იყოს ახალი გამოწვევებისთვის, მოახდინოს ტექნიკური და ინტელექტუალური გადაიარაღება, შეინარჩუნოს და გაზარდოს შემოსავლები არსებულ საოპერაციო ხარჯებთან შეფარდებით. იყოს მუდმივად კონკურენტული და მოთხოვნადი ბაზარზე.

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია :

- შემოსავლების ზრდა და დებიტორული დავალიანების შემცირება;
- მომხმარებლის მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლუატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- არამატერიალური აქტივების- ლიცენზიების ეფექტურად გამოყენება;

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ „კომპანია“ მომავლშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

(ა) უცხოური ვალუტა

„კომპანიას“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილ ფინანსური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

(ბ) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ფიქსირებული აქტივების შემენის ღირებულებაში შეიტანება ყველა ხარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის ექსპლუატაციაში შესაყვანად. მიმდინარე რემონტის ხარჯები მიეკუთვნება პერიოდის ხარჯებს მათი გაწვევისთანავე. ლიკვიდირებული ან გაყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულება და შესაბამისი ცვეთის თანხა ჩამოიწერება ანგარიშებიდან და აღნიშნული ოპერაციის შედეგი (მოგება ან ზარალი) შეიტანება წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მაშინ მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

მანქანები და მოწყობილობები	5–10 წლამდე
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	5–10 წლამდე
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5–10 წლამდე

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და

აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(გ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. „კომპანიის“ შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია არ ხდება და ხარჯი აისახება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაში ეს ხარჯი იქნა გაწეული.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებული წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(დ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების და დამუშავების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვებისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ე) მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები

მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია ნომინალური ღირებულებით. იგი თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. გაუფასურების არსებობის

ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ მევალე ან მევალეთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორცაა ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებიც ურთიერთქმედებაშია ვალდებულებების შეუსრულებლობასთან.

ვ) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

„კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების შემთხვევაში, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით. ამას ემატება გარიგებასთან უშუალოდ დაკავშირებული ხარჯები.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლება სხვა ვალდებულებებით ამავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

(ზ) გადასახადები

➤ მოგების მიმდინარე გადასახადი

მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები.

➤ დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

(თ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისაგან.

(ი) შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. „კომპანია“ შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. „კომპანია“ დაასკვნა, რომ იგი მოქმედებს პრინციპალის სახით შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა შეთანხმებაში. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მოსაზრებები, შეფასებები და დაშვებები

„კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგების პერიოდის ბოლოს წარმოდგენილი შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე და პირობითი ვალდებულებების განმარტებით შენიშვნებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

კომპანია შეფასებებსა და ვარაუდებს აკეთებს იმ პარამეტრების საფუძველზე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება მომზადდა. არსებული გარემოებები და ვარაუდები მომავალში შესაძლოა შეიცვალოს ბაზრის ან გარემოებათა ცვლილებასთან ერთად, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს. ასეთი ცვლილებები გავლენას ახდენს ვარაუდებზე მაშინ, როცა ის იჩენს თავს.

6. შემოსავალი

	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი მომსახურებიდან	4237225	3336768
შემოსახალი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან	341602	183650
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	1584	2853
სხვა შემოსავალი		
სულ შემოსავლები	4580411	3523271

7. საგადასახადო ვალდებულება

	2019 წელი	2018 წელი
ქონების გადასახადი	14652	8728
საგადასახადო ვალდებულებები	549020	49333
სულ საგადასახადო ვალდებულება	563672	58061

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
დაქირავებულთა ანაზღაურება	2506738	905232
იჯარის ხარჯი	46374	31521
ცვეთა და ამორტიზაცია	163351	115504
საპროცენტო ხარჯები	26797	7743
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯები	2190332	1480252
სულ საოპერაციო ხარჯები	4933592	2540252

9. მოგების გადასახადი

(ა) საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების შედეგი

საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008–2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შემოადნობილი ცვლილებები, ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების

დაბეგვრას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა

სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედებს არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად. საგადასახადო ცვლილებები, რომლებიც უკავშირდება მსგავსი მოგების განაწილებას, არ ახდენს გავლენას „კომპანიის“ 2017 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

10.ძირითადი საშუალებები

	2019 წელი	2018 წელი
ძირითადი საშუალებები	1881836	977195
არამატერიალური აქტივები	35717	35717
სულ ძირითადი საშუალებები	1917553	732711

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

11. დებიტორული დავალიანებები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სულ დებიტორული დავალიანება	1190204	497821

12. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2019 წელი	2018 წელი
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5588	16463
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ	5588	16463

13. კაპიტალი

კაპიტალი შეადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 542176 ლარს, ხოლო 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 215240 ლარს.

14. კრედიტორული დავალიანებები

	2019 წელი	2018 წელი
კრედიტორული დავალიანება მიმწოდებლების მიმართ	2154110	844684
სულ კრედიტორული დავალიანება	844684	844684

15. პირობითი ვალდებულებები

(ა) სასამართლო დავები და სარჩელები

ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი არა აქვს მიმდინარე სამართლებრივ საქმეთწარმოებას ან სხვა დარჩენილ დავას, რამაც შესაძლოა არსებითად იმოქმედოს „კომპანიის“ ფუნქციონერების და ფინანსურ მაჩვენებლებზე, და რომლებიც არ არის დარიცხული ან განხილული წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. ხელმძღვანელობა არ არის ინფორმირებული რაიმე ფაქტობრივი, მიმდინარე ან მოსალოდნელი სარჩელების შესახებ, რომლებსაც შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა ჰქონდეს „კომპანიაზე“.

შპს „ტელეკომპანია პირველის“ დირექტორი:

/ვახტანგ წერეთელი/ -----